

## საქართველოს კანონი

### „საქართველოს დედაქალაქის–თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 11-12, 14.03.1998, გვ. 42) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ”გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”გ) მონაწილეობენ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმის შემუშავებაში და უზრუნველყოფენ მის განხორციელებას.“

3. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ”ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ა) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;“

4. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”2. ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხები ურთიერთშეთანხმებით შეიძლება გადანაწილდეს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებსა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს შორის.“

5. მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის ”ა“ და ”ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

”ა) ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ბ) ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

6. მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის ”შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”შ) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება, მათი ადგილების განსაზღვრა; ქუჩების დასუფთავება, განათება, სანიაღვრე მეურნეობის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;“

7. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”2. ქალაქ თბილისის გერბს, დროშას, ჰიმნს და სხვა სიმბოლოებს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს

თანხმობით ადგენს ქალაქ თბილისის საკრებულო. ქალაქ თბილისის სიმბოლოები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სახელმწიფო რეგისტრაციას.”

8. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”12. საკრებულოს კომპეტენცია

საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს ორგანოების დებულებების დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მუდმივი და დროებითი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა და გადარჩევა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთების ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მუდმივი კომისიის თავმჯდომარის და ფრაქციის თავმჯდომარის ყოველთვიური გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა;

გ) საკრებულოს სტრუქტურის დამტკიცება; საკრებულოს კომისიების შექმნა; კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;

ე) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

ზ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა;

თ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება და ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;

ი) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი ოდენობების განსაზღვრა და გაუქმება;

კ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება;

ლ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება;

მ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების წესების დადგენა;

ნ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით მიწის ნორმატიული ფასისა და საიჯარო ქირის ოდენობის დადგენა;

ო) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების, სარგებლობის უფლებით გადაცემის და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესების დამტკიცება;

პ) ქალაქ თბილისის მერის და ქალაქის მთავრობის სხვა თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი; მერის ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ჟ) საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა;

რ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მთავრობისათვის კრედიტის აღებაზე თანხმობის მიცემა ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ს) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფა და მის საფუძველზე მიწათსარგებლობის წესების დამტკიცება;

ტ) მერის წარდგინებით ქალაქის რაიონისათვის ან უბნისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება; ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფა; მათთვის სახელწოდების მინიჭება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

უ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით მოსახლეობის საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის სანებართვო წესების დადგენა;

ფ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების წესების განსაზღვრა;

ქ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეგულირების შემოღება, გაუქმება, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესების დადგენა.

ღ) შესაბამისი ორგანოების ინფორმაციის მოსმენა სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

ყ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ქალაქ თბილისის გერბის, დროშის, ჰიმნის და სხვა სიმბოლოების დადგენა, მათი გამოყენების წესების განსაზღვრა;

შ) ქალაქ თბილისის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების დადგენა;

ჩ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი რაიონების შექმნა, არსებული რაიონების გაერთიანება, დაყოფა, გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა, შესაბამისი რაიონების გამგეობების შექმნა და გაუქმება, რაიონების დაყოფა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად (უბანი, სექტორი, კვარტალი, მიკრორაიონი და ა. შ.);

ც) დედაქალაქის საკუთრებაში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესების დადგენა;

ძ) დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, ქ. თბილისის ადმინისტრაციული რაიონის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის; მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის); გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის; სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის; შენობა-ნაგებობების; სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება საკრებულოს ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

წ) ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხები.”

9. კანონს დაემატოს 14<sup>2</sup> მუხლი:

”14<sup>2</sup>. საკრებულოს ფრაქცია

1. საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საკრებულოს ფრაქციაში. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით.

2. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები.  
3. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.  
4. ფრაქციის ჩამოყალიბება შეიძლება, როგორც პარტიულ ისე არაპარტიულ საფუძველზე;

5. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით.”

10. 21-ე მუხლის ”ა” პუნქტი ამოღებულ იქნეს.

11. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”2. ქალაქ თბილისის მერად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც და არჩევნების დანიშნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.”

12. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს ”თ” ქვეპუნქტი:

”თ) გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობის დებულებას;”

13. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ”კ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”კ) ხელს აწერს ქალაქ თბილისის მერიის, მათ შორის ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს ქალაქ თბილისის და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;”

14. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ”ლ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ლ) წყვეტს საქალაქო მნიშვნელობის ეკონომიკური, განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხებს, ამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს;”

15. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ”რ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”რ) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქის ბიუჯეტის, აგრეთვე მასში ცვილებების შეტანის პროექტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;”

16. კანონის 22<sup>1</sup> მუხლი ამოღებულ იქნეს.

17. 25-ე მუხლს დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”1<sup>1</sup>. მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან ინიშნება მერის მიერ.”

18. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

19. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ბ) მერს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის შემადგენლობას და წევრებს; უფლებამოსილია გამგეობის წევრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება გამგეობის ახალი წევრის დანიშვნამდე.”

20. 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”3. გამგეობის სამსახურის მუშაობის ორგანიზება და კომპეტენცია განისაზღვრება გამგეობის დებულებით.”

21. 47<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის ”ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ე) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი